EU Information and Documents Centre
EUI
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის ღროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

სექტემბერი 2010 №9 (21)



საქართველო–ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტის მე–10 სხდომა

2010 წლის 14 სექტემბერს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტის მე-10 სხდომა. ქართული მხრიდან სხდომას თავმჯდომარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია. ევროკავშირის მხრიდან — ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატის აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკების საკითხების დირექტორატის ხელმძღვანელი გუნარ ვიგანდი. ასევე, სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს შესაბამისი უწყებებისა და ევროკომისიის გენერალური დირექტორატების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების აქტუალური საკითხები, თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები და სამომავლო პერსპექტივები. სხდომაზე ყურადღება გამახვილდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის საკითხებზე; მათ შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესაძლებლობაზე, სავიზო რეჟიმის გამარტივებასა და მის შემდგომ ეტაპობრივ ლიბერალიზაციაზე. ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და მმართველობის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში არსებული მდგომარეობა. ქართულმა მხარემ მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ქვეყანაში ხსენებულ სფეროებში ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ თუ მომავალში დაგეგმილ რეფორმებსა და ღონისძიებებზე.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით არსებულ ვითარებაზე. ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა ქვეყანაში უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირის როლის შემდგომი გაძლიერების მნიშვნელობას, მათ შორის ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ფუნქციონირების გაგრძელებისა და მისი შესაძლებლობების გაზრდის, ჟენევის მოლაპარაკებების ეფექტურად წარმართვის, ევროკავშირის არაღიარების პოლიტიკის განხორციელების გზით. აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტის მეათე სხდომაზე ოფიციალურად დაარსდა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტები 1. ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საკითხებზე და 2. დასაქმებისა და სოციალური საკითხების, ჯანდაცვის, ტრეინინგის, განათლებისა და ახალგაზრდობის, კულტურის, საინფორმაციო საზოგადოებისა და აუდიოვიზუალური პოლიტიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების და ინოვაციების საკითხებზე.

წყარო: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=12674

ენგრეთი თხევაღი გაზის ტრანსპორტირების პროექტში ერთვება

14 სექტემბერს ბაქოში აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთის პრეზიდენტებმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერეს ერთობლივ

დეკლარაციას გათხევადებული ბუნებრივი გაზის ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირების შესახებ. ამ პროექტში, რომელიც ცნობილია Azerbaijan, Georgia, Romania Interconnection (AGRI) სახელწოდებით, აზერბაიჯანული გაზი მიეწოდება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ყულევის ტერმინალს, სადაც მოხდება მისი გათხევადება და კონსტანცაში ტრანსპორტირების შემდეგ კვლავ ბუნებრივ აირად გარდაქმნა. შემდგომ კი ბუნებრივი აირის გაზსადენით ევროპის სხვა ქვეყნებში ტრანსპორტირება იგეგმება.

საქართველოს, აზერბაიჯანის და რუმინეთის პრეზიდენტები მიესალმნენ პროექტში უნგრეთის ჩართვას. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს დამატებით ბიძგს მისცემს პროექტს იმ თვალსაზრისით, რომ იანვრიდან ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა უნგრეთი ხდება.

საქართველოს პრეზიდენტი ბრიუსელში ევროპის სახალხო პარტიის სამიტს ეესწრო

15 სექტემბერს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ევროპის სახალხო პარტიის სამიტში მიიღო მონაწილეობა. ქვეყნის მმართველი პარტია პრეზიდენტ სააკაშვილის თავმჯდომარეობით 2008 წლიდან ევროპის სახალხო პარტიის დამკვირვებლის სტატუსის მქონე წევრია. სამიტში ასევე მონაწილეობდნენ ევროპელი ლიდერები და ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს რამდენიმე ხელმძღვანელი.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

სექტემბრის დაიჯესტი



საერთაშორისო ბანკების გადაწყვეტილებით, ნაბუკოს პროექტის განსახორციელებლად გამოიყოფა 4 მილიარდი ევრო.

ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და რუსული მომწოდებლისგან დამოუკიდებლობის გაზრდის საკითხში „ნაბუკოს“ პროექტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტად რჩება. ახლახანს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ხელმოწერილი ფინანსური გეგმის მიხედვით, ევროპის საინვესტიციო ბანკი თანახმაა პროექტის ფარგლებში გამოყოს 2 მილიარდი ევრო; ამასთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გასცემს 1.2 მილიარდ ევროს, ხოლო მსოფლიო ბანკის წევრი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია — 800 მილიონ ევროს, რათა მოხდეს გეგმის შესაბამისი რეალიზება. აღნიშნული შეთანხმება წინ გადადგმული ნაბიჯია „ნაბუკოს“ 7.9 მილიარდიანი პროექტის განხორციელების პროცესში და სარგებლობს ევრო კომისიის სრული მხარდაჭერით.

როგორც ცნობილია, 2009 წლის 13 ივლისს ანკარაში ხელი მოეწერა მთავრობათაშორის შეთანხმებას „ნაბუკოს“ გაზსადენის მშენებლობის თაობაზე. პროექტი, რომლის ამოქმედება იგეგმება 2015 წელს, ითვალისწინებს კასპის ზღვიდან თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის გავლით ბუნებრივი აირის ავსტრიაში განთავსებული საცავისათვის მიწოდებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ევროკავშირის ენერგოდამოუკიდებლობას რუსეთისგან.

ევროკავშირი პოლონეთს ბუნებრივი აირის შესაძლო ნაკლებობის შესახებ აფრთხილებს

იმ მიზეზით, რომ პოლონეთი რუსეთთან ბუნებრივი აირის მიღების შესახებ გრძელვადიანი შეთანხმების ხელმოწერას აგვიანებს, ბრიუსელში აცხადებენ, რომ პოლონეთი ევროპულ კომპანიებს დამატებითი რუსული გაზის ყიდვის საშუალებას არ აძლევს და ამით ევროკავშირის შიდა ბაზრის კანონებს არღვევს. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, პოლონეთი რუსეთისგან 2037 წლამდე წელიწადში 10 მილიარდ კუბურ მეტრ აირს მიიღებს და აირი იზმაილის გაზსადენით დანარჩენ ევროპასაც მიეწოდება. ამასთან, ბუნებრივი აირის ფაქტორის გამო ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოსტსაბჭოთა ქვეყნის რუსეთზე დამოკიდებულება ბრუსელში ბევრს აღელვებს.

ბელგრადისა და რუმინეთის შენგენის ზონაში შესვლა დროებით გადაიდო.

ევროკავშირის ევროპასთან დაკავშირებულ საკითხთა მინისტერიალის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით, გახანგრძლივდა ბულგარეთსა და რუმინეთში სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირებასა და კორუფციასთან ბრძოლის პროცესზე წარმოებული მონიტორინგის ვადები.

აღნიშნული სახელმწიფოების ევროკავშირში გაერთიანიება 2007 წლის 1 იანვარს მოხდა, თუმცა იურიდიული რეფორმის გატარებასთან დაკავშირებულმა ხარვეზებმა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის უუნარობამ გამოიწვია ორი ქვეყნის მაცხოვრებელთა, როგორც ევროკავშირის მოქალაქეების, უფლებრივი შეზღუდვა. ბულგარეთისა და რუმინეთის წინაშე მდგარი პრობლემების სწრაფი და ეფექტური გადაჭრისათვის შემუშავდა თანამშრომლობისა და მეთვალყურეობის მექანიზმი, ამასთან, უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, ევროკავშირს მიეცა უპრეცედენტო უფლება უარი ეთქვა სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე და ამასთან შეეწყვიტა ევროკავშირის ფონდების დაფინანსებაც.

ევროპასთან დაკავშირებულ საკითხებში სახელმწიფო მდივნის პიერ ლელოუშის განცხადებით, საფრანგეთი და წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს ოფიციალური ბუქარესტისა და სოფიას შენგენის ზონაში შესვლას, სანამ არ შეინიშნება მკვეთრი წინსვლა აღნიშნული გეგმის განხორციელების პროცესში. საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა კომენტარი გააკეთა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ხელმოწერილ წერილზე ბოშათა ბანაკების დაშლის შესახებ და განმარტა, რომ საფრანგეთი მხარს უჭერს აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის წარმომავლობის ქვეყნებში ინტეგრაციას და არა იმ სახელმწიფოებში, რომელთაც თავად ირჩევენ საცხოვრებლად. ევროპის ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ საფრანგეთის ამგვარი დამოკიდებულება ერთხმად შეფასდა როგორც დისკრიმინაციული პოლიტიკის წარმოება.

მაკედონიის სახელმწიფოს ოფიციალურ სახელწოდებასთან დაკავშირებული დავა – გადაწყვეტილების მიღების დრო, ამბობს ბაროსო

მაკედონიის პრეზიდენტ გიორგ ივანოვისა და ევროკომისიის პრეზიდენტ ხოსე მანუელ ბაროსოს შორის ბრუსელში შემდგარი შეხვედრის შედეგად ბაროსომ მოუწოდა საბერძნეთისა და მაკედონიის სახელმწიფოებს საბოლოოდ გადაეჭრათ მაკედონიის ოფიციალურ სახელწოდებასთან დაკავშირებული 20 წლიანი დავა. ოფიციალური ათენის პოზიციის თანახმად, სახელწოდება „მაკედონიის რესპუბლიკა“ ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს საბერძნეთის სახელმწიფოში

შემავალი მაკედონიის რეგიონისათვის; ამასთან არსებული ვითარება აფერხებს მაკედონიის სახელმწიფოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას. საბერძნეთის პოზიციიდან გამომდინარე, დღეისათვის მაკედონიის სახელმწიფო სახელწოდება წერილობით ფიქსირდება როგორც „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“.

ამერიკა ევროკავშირს კიბერ უსაფრთხოების გამკაცრებას სთხოვს

საკუთარი კიბერ უსაფრთხოების სისტემის გაძლიერების ფონზე, ვაშინგტონი ევროკავშირს ამ სფეროსთვის მეტი ყურადღების დათმობას სთხოვს.

ცოტა ხნის წინ ბრიუსელში ვიზიტის დროს ამერიკის თავდაცვის მდივნის მოადგილემ, ვილიამ ლინმა განაცხადა, რომ ტრანსატლანტიკურმა პარტნიორებმა ცივი ომის დროინდელი თანამშრომლობა კიბერ უსაფთხეობასთან დაკავშირებული საფრთხეების თავის ასაცილებლად უნდა აღადგინონ.

ეს სფერო ევროკავშირისათვის მეორეხარისხოვან საკითხს წარმოადგენდა, მაგრამ გახშირებულმა თავდასხმებმა კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს შესაბამისი საქმიანობის გააქტიურებისკენ უბიძგეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2007 წელს ესტონეთში მომხდარი დიდი კიბერთავდასხმა, როდესაც სამთავრობო, მედია და ინტერნეტ სივრცის სერვერები მწყობრიდან გამოვიდა.

ევროკავშირის და ინფორმაციის სააგენტოს (ENISA) მიერ მომზადებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ევროპელები საკმაოდ შეშფოთებული არიან კიბერთავდასხმებთან გამკლავების მოუმზადებლობით.

გამოყენებული წყაროები:
www.euobserver.com;
www.euractiv.com.

ევროსტატისტიკა

ევროკავშირის მოსახლეობის ჩართულობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობებში

ევროკომისიის საზოგადოებრივი აზრის ანალიზის სექტორმა, ევრობარომეტრმა, გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა სპორტისა და ფიზიკური აქტიურობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 27 ქვეყნის 26788 მოქალაქემ.

სხვადასხვა სახის ფიზიკური ვარჯიშით დაკავების ძირითად მიზეზად რესპოდენტებმა ჯანმრთელობის გაუმჯობესების სურვილი დაასახელეს, ასევე ფიზიკური ფორმის შენარჩუნება, რელაქსაცია და სპორტისგან სიამოვნების მიღება. გამოკითხულთა სამი მეოთხედი აღნიშნავდა, რომ მათი სახლის მახლობლად არის ფიზიკური აქტივობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა (პარკები, სკვერები, სპორტული დარბაზები და სხვა). ევროპელთა 30% რომელიმე სპორტული ან ფიტნესს კლუბის წევრია და აქედან 7% მოხალისედ ეხმარება სხვადასხვა სპორტული პროექტის განხორციელებას.

გამოკითხულთა 40% აღნიშნა, რომ კვირაში ერთხელ მაინც არის დაკავებული სპორტის რომელიმე სახეობით, ხოლო 65% კი ფიზიკური აქტივობის სხვა ფორმით (სირბილი, ველოტური, სეირნობა, ცეკვები და სხვა). მხოლოდ 34% განაცხადა რომ ძალიან იშვიათად ან თითქმის არასდროს მისდევს აქტიურ ფიზიკურ ცხოვრებას.

ევროკავშირში სპორტით ყველაზე მეტად ჩრდილოეთის ქვეყნების და ჰოლანდიის მოსახლეობაა დაკავებული (შვედების 72%, ფინელების 72%, დანიელების 64%). ხოლო ყველაზე ნაკლებად აქტიურნი ხმელთაშუა ზღვის და 12 ახალი წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები აღმოჩნდნენ. აღინიშნა, რომ საბერძნეთის მოსახლეობის 67%, ბულგარეთის 58%, პორტუგალიის 55% და იტალიის 55% საერთოდ არ მისდევს სპორტს, მაშინ როდესაც შვედების მხოლოდ 6% და ფინელების 7% აღიარა იგივე. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები უფრო მეტად მისდევენ სპორტს, ვიდრე ქალები. მათი 43% კვირაში ერთხელ მაინც არის დაკავებული სპორტით, ხოლო ქალების მხოლოდ 37%. განსაკუთრებით ეს სხვაობა ჩანს 15-24 ასაკობრივ ჯგუფში (71% და 50% შესაბამისად).

ასაკობრივი თვალსაზრისით, შედეგები შემდეგნაირად განაწილდა: 15-24 წლის გამოკითხულთა შორის 61% კვირაში ერთხელ მაინც დაკავებულია სპორტით, 25-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ 44%, 40-54 წლის მოქალაქეებში 40%, 55-69 წლის - 33% და 70 წელს გადაცილებულებში კი 22%.

საინტერესო კავშირი გამოიკვეთა რესპოდენტთა განათლების დონესა და მათ მიერ სპორტულ აქტივობებში ჩართულობას შორის. აღმოჩნდა, რომ იმ მოქალაქეებში, ვინც განათლებას თავი დაანება 15 წლის ასაკში 64% არასოდეს მისდევდა სპორტს. ეს მაჩვენებელი იმათ შორის, ვინც განათლებას 16-19 წლის ასაკში დაანება თავი 39%-ია, ხოლო 20 წლის შემდეგ განათლებით დაუკავებელთა შორის - 24%. განათლების მაღალი დონე განაპირობებს ცხოვრების მაღალ ხარისხს, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ჯანსაღი ცხოვრების წესს უკავშირებენ. გაირკვა, რომ ფინანსური პრობლემების მქონე პირები ნაკლებად არიან ჩართულნი სპორტულ ცხოვრებაში.

EUROBAROMETER

ევრო პაიჭრა

ვაგრძელებთ დაიჯესტის წინა ნომრებში (იხ. "ევროპის დროით" 2010 წლის N1, N2, N3, N4) დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

იტალიის ევროპული უნივერსიტეტის მაქს ვებერის პოსტსადოქტორო სტიპენდიის პროგრამა

იტალიის ევროპული უნივერსიტეტი აცხადებს მაქს ვებერის პოსტსადოქტორო სტიპენდიის პროგრამას ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებების სტუდენტებისათვის.

პროგრამაში მონაწილეობისათვის კანდიდატს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მიღებული უნდა ჰქონდეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განხრით ან კანდიდატი უახლოეს მომავალში უნდა იცავდეს სადოქტორო ნაშრომს. შესარჩევ კონკურსზე არ დაიშვება კანდიდატი, რომელსაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიღებული აქვს 2005 წლის 1 სექტემბრამდე.

სტიპენდიების ხანგრძლივობა:

- 12-დან — 24 თვემდე

კანდიდატებმა სააპლიკაციო ფორმაში უნდა მიუთითონ მათთვის სასურველი პერიოდი პროგრამის გასავლელად. პროგრმაში მონაწილეობის პერიოდში კანდიდატები იცხოვრებენ ფლორენციაში.

სტიპენდიის ოდენობა:

- თვეში 2000 ევრო
- დამატებითი შემოსავლის ოდენობის გათვალისწინებით მინიმალური თანხა შეადგენს 1250 ევროს.

განცხადების ელექტრონულად გაგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 25 ოქტომბერი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სტიპენდიები სოციალურ მეცნიერებებში

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, რეგიონული სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, აცხადებს კონკურსს სოციალურ მეცნიერებებში.

რეგიონული სასტიპედნდიო პროგრამის მიზანი: მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

პროგრამის ამოცანები:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშემწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონული ქსელის განვითარებას.

კონკურსის პირობები:

- განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1975-1987 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკლევარებს;
- სრული უმაღლესი განათლება;
- ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ცოდნა (გერმანული ენის ცოდნა სასურველია).

ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებით:

- სამხრეთ კავკასიის ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ახლებური ხედვის შემუშავება;
- ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ კავკასიაში: გადარჩენის სტრატეგია;
- უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში;
- გენდერული როლების ტრანსფორმაცია.

სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა:

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2011-31.12.2011).

სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად შეადგენს 250.00 ევროს.

საჭირო საბუთები:

- თავფურცელი შემდეგი მონაცემების მითითებით: სახელი; გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სამეცნიერო დისციპლინა; საკონკურსო თემა; კვლევის სათაური (საკონკურსო თემა და კვლევის სათაური არ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს);
- განაცხადის ანკეტა;
- ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV);
- ესსე (5-8 გვერდის მოცულობით) უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას: 1. რატომ მაინტერესებს ეს თემა; 2. რა ვიცი თემის შესახებ; 3. რა მეთოდებით ვაპირებ თემის კვლევას; 4. წლიური სამუშაო გეგმა;
- სამუშაო დანესებულების მიერ ან აპლიკანტის ამჟამინდელი სამსახურიდან ხელმძღვანელი პირის მიერ წარმოდგენილი ორი სარეკომენდაციო წერილი;
- უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან ხუთწლიანი სწავლის) დიპლომი დანართით;
- არჩევითია: სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და მათი ასლები (მაქსიმუმ 20 გვერდი).

საკონკურსო განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა 30 ოქტომბრის 18:00 სთ.

ლონდონის ვესტმინსტერის უნივერსიტეტის სრული და ნაწილობრივი სტიპენდიები ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით

ლონდონის ვესტმინსტერის უნივერსიტეტი აცხადებს სრულ და ნაწილობრივ ანაზღაურებად სტიპენდიებს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მფლობელი საერთაშორისო სტუდენტებისთვის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო კურსის გასავლელად.

სტიპენდიის მიღებით დაინტერესებული კანდიდატი არ უნდა იყოს დიდი ბრიტანეთის მოქალაქე და უნდა ფლობდეს ოფიციალურ მოწვევას ვესტმინსტერის უნივერსიტეტიდან.

მოცემული სტიპენდიებით გათვალისწინებული სრული თუ ნაწილობრივი ანაზღაურება დამოკიდებული იქნება კანდიდატის აკადემიურ წარმატებაზე, განვითარების პოტენციალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

განცხადების ელექტრონულად გაგზავნის ბოლო ვადაა **2010 წ. 1 ნოემბერი.**

ზემოთ ჩამოთვილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს — თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი N219-220, ტელ.: (832) 29 47 11.

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით
"ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნომერზე მუშაობდნენ: თეა ცარიელაშვილი, ირინა ცერცვაძე, ქეთი ჩეგია, თამარ ჯელიძე, მარიკა კაჭარავა, ქეთევან გუნიავა

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ-გვერდზე: www.eu-committee.ge